

## საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

### მუხლი 1. ზოგადი დებულება

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესს და ფორმას.

### მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საჯარო ინფორმაცია შეუძლია მოითხოვოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა მხარემ საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-თ დადგენილი წესითა და ვადებში.

2. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაცემა დაინტერესებული მხარის მიერ განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე გაგზავნითან მისივე მოთხოვნით კომპაქტურ დისკზე ჩაწერით.

3. თუ დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაგზავნა მისი მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია გაგზავნილ იქნეს ელექტრონულად, მაშინ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი იტოვებს უფლებას მხარის თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს მისი კომპაქტურ დისკზე ჩაწერა და მხარეს გადაახდევინოს თანხა „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლს შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული ოდენობით.

### მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად ან წერილობითი ფორმით მიღებით დაინტერესებულმა მხარემ, ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის თანხლებით ფიზიკური პირების შემთხვევაში, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში, იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები. აღნიშნული განცხადება უნდა დარეგისტრირდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამქმისწარმოების განყოფილებაში საკრებულოს შემთხვევაში საკრებულოს აპარატში ან/და გაიგზავნოს მოთხოვნა ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე [khelvachauri.mun@gmail.com](mailto:khelvachauri.mun@gmail.com) ზემოთ ჩამოთვლილ განცხადებასთან თანდართული დასკანერებული დოკუმენტების თანხლებით, თანდართული ფორმის შესაბამისად (დანართი №3)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესების დარღვევით წარდგენილი განცხადება არ განიხილება.

### მუხლი 4. საჯარო ინფორმაციისათვის მოსაკრებლის გადახდიდან გათავისუფლება

1. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაიხდევინება:

- ა) ინფორმაციის ჩაწერისას ინფორმაციის მოთხოვნის დისკეტაზე ან კომპაქტურ დისკზე;
- ბ) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას;
- გ) ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას;

2. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.

### მუხლი 5. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურები და ვადები

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონულ ფოსტაზე შემოსული ელ-განცხადება მიღებისთანავე გადაეგზავნება მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს ან/და

საკრებულოს აპარატს რეგისტრაციისათვის და შემდგომში შესაბამის განცხადებაზე რეაგირება დაევალება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელ პირს (პირებს), რომელთა კომპეტენციასაც წარმოადგენს მოთხოვნილი ინფორმაციის მოძიება.

2. ელექტრონულად მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავება/მოძიების შემდგომ, აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-თ დადგენილი ვადების დაცვით ელექტრონულად ეცნობება განმცხადებელს.

3. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია უნდა გაიცეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვადების დაცვით.

4. ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო ვადები აითვლება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურში ან/და საკრებულოს აპარატში ოფიციალურად რეგისტრაციის მომენტიდან.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე  
პასუხისმგებელ პირს/პირებს

-----  
მოქ. -----,  
მცხ. -----  
ტელ/მობ: -----  
ორგანიზაციის დასახელება: -----  
-----

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1. გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის საფუძველზე, მოგვაწოდოთ----- (მოთხოვნილი ინფორმაციის დასახელება) ინფორმაცია ელექტრონული სახით. ასევე გთხოვთ:
- ა) მოთხოვნილი ინფორმაცია გადმოგვცეთ ქვემოთ მითითებულ ელფოსტის მისამართზე გადმოგზავნით -----
  - ბ) მოთხოვნილი ინფორმაცია ჩაგვიწეროთ კომპაქტურ დისკზე. ასვე თანხმობას, ვაცხადებ შესაბამისი თანხის მითითებით გადავიხადოთ „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხის ოდენობა;
  - გ) მოთხოვნილი ინფორმაცია ჩაგვიწეროთ ჩემს/ჩვენს მიერ წარდგენილ მეხსიერების ბარათზე/ კომპაქტურ დისკზე;
  - დ) მოთხოვნილი ინფორმაცია გამომიგზავნოთ წერილობითი ფორმით, ქსეროასლების სახით, ან ამოგვიბეჭდოთ ლაზერულ პრინტერზე. ასევე თანხმობას ვაცხადებ შესაბამისი თანხის მითითებით გადავიხადოთ „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ: საქართველოს კანონით განსაზღვრული თანხის ოდენობა.  
(მონიშნეთ თქვენს მიერ მისაღები ფორმა)

დაინტერესებული პირი (განმცხადებელი) -----

თარიღი -----